ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2936225

ნომერი: AR1449240

თარიღი : 17.10.2016

გაცემის თარიღი : 09.11.2016

გაცნობის თარიღი : 12.11.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მაისურაძის ქ. , N1-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ სეფიაშვილი პ/ნ 01012010586
- თბილისი კუმისის ქ. N 16

ორგანიზაცია:

- დიზელი და ჰიდრავლიკა კოდი: 406024118

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ავტოსერვისი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, მაისურაძის ქ. #1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია #01.19.39.033.033, ავტოსერვისის მოსაწყობად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი დღევანდელი მდგომარეობით მდებარეობს ზოგად საცხოვრებელ ზონაში (სზ). აღნიშნული საკითხი ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებაზე განხილული იქნა „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის“ 2016 წლის 10 მარტის #12 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზეც ფუნქციური ზონის სტატუსის - საცხოვრებელი ზონის სამრეწველო ზონა 1-ით ცვლილებას მიეცა თანხმობა. საკითხი შემდგომი განხილვისთვის წარდგენილი იქნა ქალაქ თბილისის საკრებულოს სხდომაზე, რომლის საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ სამსახური გაცნობებთ დამატებით.

გამომდინარე იქიდან, სანამ არ მოხდება ფუნქციური ზონის სტატუსის, აცხოვრებელი ზონის სამრეწველო ზონა 1-ით ცვლილება (შემდგომ იქნება შესაძლებელი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებაზე მსჯელობა შესაძლებელი), სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს აღნიშნული საკითხი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.